ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

ოლიკო ნიკაჭაძე

T სუბპოპულაციების და IL-23/Th17 თანაფარდობის როლის შეფასება ფსორიაზის იმუნოპათოგენეზში

სამაგისტრო პროგრამა ბიოლოგია

ნაშრომი შესრულებულია ბიოლოგიის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად იმუნოლოგიაში

ხელმძღვანელები: ნუნუ მიცკევიჩი, ბმდ. თსუ

თამარ ცერცვაძე, ბმდ. თსუ

კონსულტანტი: ქეთევან მაჭავარიანი. მმდ. თსსუ

თსუ, 2019

სარჩევი

ანოტაცია---------- 2

შესავალი----------5

თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა

1. **ძირითადი ცნობები ფსორიაზის შესახებ**

1.1.1. ფსორიაზი და მისი ეპიდემიოლოგია საქართველოში----------6

1.1.2. ფსორიაზის ეტიოლოგია და პათოგენეზი----------7

1.1.3. ფსორიაზის ფორმები----------8

1.1.4. ფსორიაზის დიაგნოსტიკა და მკურნალობა---------- 11

2. **ფსორიაზის იმუნოპათოგენეზი**

1.2.1. T უჯრედების როლი ფსორიაზის იმუნოპათოგენეზში---------- 12

1.2.2.Th17 უჯრედები და ციტოკინები---------- ---------- 13

1.2.3. IL-23/Th17 ღერძის მოდელი ფსორიაზის დროს---------- 21

თავი 2. საკვლევი ობიექტი და კვლევის მეთოდოლოგია

2.1 კვლევის ობიექტი----------22

2.2 კვლევის მეთოდოლოგია---------- 22

თავი 3. კვლევის შედეგები და მათი განხილვა----------24

დასკვნა----------31

გამოყენებული ლიტერატურა----------31

ანოტაცია

ფსორიაზი კანის ერთ ერთი ყველაზე გავრცელებული ქრონიკული დაავადებაა. მას სისტემური ხასიათი აქვს და ხშირად თან ახლავს გართულებები. დაავადებულია მოსახლეობის დაახლოებით 2% და სწორედ ამიტომ ითვლება ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ T უჯრედულ დარღვევად მსოფლიოში. დაავადების მაპროვოცირებელია, როგორც გარემო ფაქტორები, ისე ინფექციური დაავადებები, წამლები და გენეტიკური განწყობა. ბოლო წლების კვლევებით დადასტურდა ფსორიაზის აუტოიმუნური ბუნება, ფსორიაზის პათოგენეზში საკვანძო როლს ასრულებენ დამხმარე T უჯრედების სხვადასხვა კლასები. მათ შორის აღსანიშნავია Th1 და Th17 უჯრედები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ კანის ანთებითი პროცესის ინიციაციისა და ამფლიპიკაციის ფაზაში, ასევე Th22 რეზიდენტი უჯრედები, რომლებიც მეხსიერების უჯრედების როლს თამაშობენ მორეციდივე ფსორიაზისას და Th9 უჯრედები, რომლებიც ასევე ჩართულია ამ პროცესში.

სამაგისტრო კვლევის მიზანს წარმოადგენს IL-23/Th17 ღერძის როლის შეფასება ფსორიაზის იმუნოპათოგენეზში ქართული პოპულაციის შენთხვევაში. დაავადების კომპლექსური ბუნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია ანთებითი პროცესის წამყვანი უჯრედებისა და ციტოკინების იდენტიფიკაცია, ამ მიზნის მისაღწევად, ჩვენ მოვხდინეთ Th17, Th22, Th9 უჯრედების რაოდენობის განსაზღვრას ფსორიაზით დაავადებულთა და ჯანმრთელ კონტროლთა პერიფიერული სისხლის ნიმუშებში; შევაფასეთ IL-17A, IL-17F, IL-22 და IL-9 ციტოკინების დონე, შესაბნამისად ვიმსჯელეთ IL-23/Th17 ღერძის ბალანსზე და მის მიზეზ-შედეგობრივ კავშირზე პროანთებითი ციტოკინების სეკრეციასთან.

კვლევის მასალა და მეთოდები: ფსორიაზის აქტიური ფორმით ახლადდიაგნოზირებულ, არანამკურნალებ პაციენტთა პერიფერიული სისხლი, კვლევა ჩატარდა გამდინარე ციტომეტრიისა და იმუნოფერმენტული ანალიზის გამოყენებით.

კვლევის შედეგების თანახმად, ფსორიაზით დაავადებულთა პერიფერიულ სისხლში არ აღინიშნება Th17-ის მკვეთრი მატება, Th9 უჯრედების რაოდენობა დაქვეითებულია საკონტროლო ჯგუფთან შედარებით. Th22 უჯრედების რაოდენობა მომატებულია, რასაც განცალკევებულად ვერ მივიჩნევთ დაავადების მახასიათებლად. რაც შეეხება Th უჯრედების აქტივაციის, განსახლების, მეხსიერების ფენოტიპურ დახასიათებას, მომატებულია

ქემოკინების რეცეპტორების ექსპრესია (CCR4, CCR6, CCR10) და მეხსიერების ფენოტიპისთვის დამახასიათებელი აქტივაციის მარკერები.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფსორიაზით დაავადებული პაციენტების პერიფერიულ სისხლში IL-23/Th17 ღერძის განმსაზღვრელი T უჯრედების და ციტოკინების პროფილური ბალანსი არ აღმოჩნდა შეცვლილი, რაც დამახასიათბელია ფსორიაზული ანთების ლოკალური კერებისთვის.

Anotation

Psoriasis is a chronic inflammatory skin disease, which is associated with systemic inflammation and comorbidities, such as psoriatic arthritis and cardiovascular diseases and is among the most frequent T cell mediated disorders affecting about 2% of the population worldwide. Common cause of Psoriasis are environmental factors, infectious disease, antibiotics and genetic predisposition. Recently has established autoimmune nature of Psoriasis and different subclasses of T cells are playing key role in immunopathogenesis of the disease. Including Th1 and Th17 cells which are involved in initiation and amplification of the skin inflammation process, furthermore in cases of recurring Psoriasis Th22 cells are playing the role of memory cells, with the help of Th9 cells, which also are involved in this process.

The main goal of our study is to evaluate the role of IL-23/Th17 axis in the patients with Psoriasis in Georgian population. Based on the complex nature of the disease it has been important to identify the cells and cytokines which are leading the process. We have estimated the number of Th17, Th22, Th9 cells in blood samples as in the case of patients suffering from psoriasis and healthy controls. Also, we focused on the activation of IL-23/Th17 axis by evaluating the level of IL-17A, IL-17F, IL-22 and IL-9. We evaluated the role of IL-23/Th17 axis with association of proinflammatory cytokines.

We investigated untreated the peripheral blood of newly diagnosed patients with active Psoriasis. There were used the Flow cytometry for immunophenotyping and ELISA methodology.

According this research there was not shown dramatic increasing of Th17 cells in the peripheral blood of the patients with Psoriasis. The9 cells were decreased and Th22 cells were increased compared to the control group. The activation, expansion, homing markers and memory cells phenotyping had the different results. There was increased the expression of chemokine receptors (CCR4, CCR6, CCR10) and memory cells surface molecules.

As a conclusion, we can say that the T cellular and cytokine profile balance of IL-23/Th17 axis in peripheral blood (unlike the local psoriatic inflammation) is not characterized for Psoriasis.

შესავალი

ფსორიაზი კანის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ქრონიკული დაავადებაა, რომლის დროსაც კანის გარდა, ზიანდება ფრჩხილები და სახსრები. ის სისტემური ხასიათისაა და ხშირად თან ახლავს გართულებები, სულ დაავადებულია მოსახლეობის დაახლოებით 2%, რის გამოც ფსორიაზი ითვლება ყველაზე გავრცელებულ T უჯრედულ დარღვევად მსოფლიოში. დაავადების მაპროვოცირებელ ფაქტორებს, მიეკუთვნება: ფსიქიკური ტრავმები, ხანგრძლივი დაძაბულობა, ქრონიკული სტრესული მდგომარეობა, დიდი როლი აქვს ასევე ინფექციურ დაავადებებს, ფიზიკურ ტრავმებს, კანის ტრავმატიზაციას, მნიშვნელობა აქვს ინტენსიურ წამლისმიერ თერაპიას, ალკოჰოლურ ინტოქსიკაციას, კლიმატის გამოცვლას და სხვა.

ფსორიაზის განვითარებაში წამყვანი როლი ეპიდერმულ CD8+ T უჯრედებს უჭირავთ, თუმცა ფსორიაზის პათოგენეზში ასევე საკვანძო როლს ასრულებენ დამხმარე T უჯრედების სხვადასხვა კლასები. IL-23/Th17 ღერძი კი აკონტროლებს ფსორიაზული კერების პროანთებით რგოლს, რომელიც მოიცავს კერატინოციტებს, დენდრიტულ უჯრედებს და T უჯრედებს, აღსანიშნავია $\gamma\delta$ T უჯრედების როლიც, რომლებიც IL-17-ის მთავარ მაპროდუცირებლებს წარმოადგენენ და ახდენენ ფსორიაზულ კერებში ანთების შენარჩუნებას. Th1 და Th17 უჯრედები, აქტიურად მონაწილეობენ კანის ანთებითი პროცესის ინიციაციისა და ამფლიპიკაციის ფაზაში, ასევე აღსანიშნავია Th22 რეზიდენტი უჯრედები, რომლებიც მეხსიერების უჯრედების როლს თამაშობენ მორეციდივე ფსორიაზისას და შეიმჩნევა Th9 უჯრედების ჩართულობაც ამ პროცესში.

კვლევის მიზნები და ამოცანები: ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა T უჯრედული პროფილისა და IL23/Th17ღერძის თანაფარდობის შეფასება ფსორიაზით დაავადებული პირების ქართულ პოპულაციაში. ამ მიზნის მისაღწევად, ჩვენ შევასრულეთ შემდეგია მოცანები:

ამოცანა 1. Th17, Th22, Th9 უჯრედების რაოდენობის განსაზღვრა ფსორიაზით დაავადებულთა და კონტროლთა სისხლის ნიმუშებში IL-17, IL-22 და IL-9 ციტოკინების დონის შეფასებით.

ამოცანა 2. Th17, Th22, Th9 უჯრედების აქტივაციის, ექსპანსიის და განსახლების დადგენა CCR4, CCR6, CCR10 ფენოტიპური ანალიზის მეშვეობით.

კვლევისთვის შერჩეული იქნა დიაგნოზირებული, მაგრამ არანამკურნალევი პაციენტები. მიღებული შედეგების გაანალიზება მოხდა გამდინარე ციტომეტრიის საშუალებით. ექსპერიმენტული სამუშაო შესრულდა თბილისის სახ. უნივერსიტეტის იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის კათედრაზე არსებული ლაბორატორიის ბაზაზე.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

1. ძირითადი ცნობები ფსორიაზის შესახებ

1.1.1. ფსორიაზი და მისი ეპიდემიოლოგია საქართველოში

ფსორიაზი (ბერძნ. psoriasis — ქავილი, მუნი) — ადამიანის კანის ერთ-ერთი გავრცელებული ქრონიკული, მულტიფაქტორული დაავადება. მას თან სდევს კანის აქერცვლა და ანთებითი ცვლილებები. დაავადება მოიცავს თითქმის მთელ სხეულს, ამავდროულად, ის კონტაგიოზური არაა. თანაბრად გვხვდება ორივე სქესის ინდივიდებში და ვლინდება 10-დან 40 წლამდე ასაკში.

ფსორიაზის მკურნალობა თანამედროვე მედიცინის აქტუალური პრობლემაა. იგი მსოფლიოში გავრცელებული კანის ერთ-ერთი დერმატოზია. ბოლო წლებში მსოფლიოს ყველა ქვეყანაში და საქართველოშიც საგრძნობლად იმატა ფსორიაზის რაოდენობამ. 2000-2015 წლებში კანისა და ვენსნეულებათა ს/კ ინსტიტუტის მიერ ჩატარებული ანალიზით დერმატოზებს შორის მისი ხვედრითი წილია 3,0-3,5%-ია. საქართველოში მისი გამოვლინება უმთავრესად სტრესის ფონზე ხდება. აღნიშნული დაავადება საზღვარგარეთ, უმთავრესად, საფრანგეთსა და ამერიკაშია გავრცელებული. ამერიკაში მის წარმოშობას ხორცით კვებას უკავშირებენ, საფრანგეთში კი – ჭარბი სასმელის მიღებას.”

ამასთან, ისევე, როგორც სხვა კანის ქრონიკული დაავადებები, ფსორიაზიც იწვევს კოსმეტიკურ ცვლილებებს, რაც უარყოფითად მოქმედებს პაციენტის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ პაციენტთა 30%-ს ახასიათებს სუიციდისკენ მიდრეკილება, დეპრესია (Richards HL., et al. 2004). ამის, გამო, ფსორიაზი არამარტო მედიკო-ბიოლოგიური, არამედ მწვავე სოციალური პრობლემაც არის. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი ფსორიაზის შესწავლის საკითხს კიდევ უფროა ქტუალურს ხდის.

1.1.2. ფსორიაზის ეტიოლოგია და პათოგენეზი

ფსორიაზის კვლევას დიდი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ ჩვენსწელთაღრიცხვამდე ჰიპოკრატე თავის ნაშრომში „Corpus Hippocraticum" აღწერს ამ დაავადებას. თუმცა მაშინაც და დღესაც დაავადების ეტიოლოგია და პათოგენეზი უცნობია. ბევრი ფაქტი მიუთითებს, რომ ფსორიაზი გენეტიკური და გარემო ფაქტორების ერთობლივი ზემოქმედების შედეგია. ბოლო ხანებში განსაკუთრებით დიდი როლი ენიჭება გენეტიკურ აბერაციებს(Henseler T., 1997). ისინი ნანახია სხვადასხვა ქრომოსომაში, რომელთა უმრავლესობა ასოცირებულია სხვა აუტოიმუნურ და ანთებით დაავადებებთან, როგორიცაა ეგზემა, ასთმა და სხვა. ერთ-ერთი გენი, რომელიც იქნა იდენტიფიცირებული არის PSOPS1. ეს არის ერთ-ერთი იმ რამოდენიმე გენიდან, რომელიც არეგულირებს _ როგორ უნდა ებრძოლოს ინფექციებს იმუნურმა სისტემამ.

1972 წელს დამტკიცდა ფსორიაზისათვის მე-6 ქრომოსომის HLA რეგიონის პოტენციური როლი (Russell T.J., et al., 1972). მოგვიანებით შემოგვთავაზეს მულტიპლეტური ლოკუსები სხვადასხვა ქრომოსომებზე: 1, 2, 4, 8, 16, 17, და 20 (Ramoz N., et al., 1999). ითვლება, რომ ფსორიაზის ფენოტიპს გენების კომპლექსი განსაზღვრავს. მკვლევარების ყურადღება ძირითადად MHC 1 კლასის რეგიონზე , განსაკუთრებით, HLA-Cw6 ალელზე ფოკუსირდება.

დაავადების საწინააღმდეგოდ მიღებული იმუნოსუპრესული პრეპარატების დადებითი ეფექტის გამოვარაუდობენ, რომ დაავადების პირველადი პათოგენეზური ფაქტორი შეიძლება იმუნოლოგიური იყოს. გარემო ფაქტორებს შეუძლია ფსორიაზის პროვოცირება ან გამწვავება. მაგალითად, ფსორიაზი შეიძლება განვითარდეს ტრავმის ადგილზე (კებნერისფენომენი), ან ოპერაციის შემდეგ. დაავადების პროვოცირებას შეიძლება ხელი შეუწყოს დამწვრობამ, ნაკაწრმა, ან ჭრილობამ. აგრეთვე, წამლისმიერმა ალერგიულმა რეაქციებმა, ვირუსულმა ინფექციამ და ზოგიერთი მედიკამენტების (მაგ. ანტიმალარიული პრეპარატები, ლითიუმი, ბეტა-ბლოკატორები, ინტერფერონ-ალფა,) და ასევე სისტემური კორტიკოსტეროიდების გამოყენებამ. ფსორიაზული გამონაყარი შესაძლებელია გაჩნდეს ზედა სასუნთქი გზების სტრეპტოკოკული ინფექციების გადატანის შემდეგ. არსებობს სხვა ფაქტორებიც, რომელთაც შეუძლიათ ფსორიაზის გამწვავება, მათ მიეკუთვნება სტრესი, ალკოჰოლი, მუდმივი ემოციური დაძაბულობა.

1.1.3. ფსორიაზის ფორმები

დაავადებას სხვადასხვა კლინიკური ფორმა ახასიათებს. ფსორიაზის ტიპის მიხედვით კანის დაზიანებები გარეგნულად განსხვავებულია. დაავადების ფენოტიპერება დაფუძნებულია ტრადიციულად ჰისტო-მორფოლოგიურ მონაცემებზე და წარმოადგენს კლასიფიკაციის საფუძველს. განიხილავენ კლინიკურად ფსორიაზის შემდეგ ვარიანტებს: ბალთოზური, ლაქოვანი, პუსტულარული, ინვერსიული, წვეთოვანი და ერითროდერმული.

ბალთოვანი ფსორიაზი ყველაზე ხშირად გავრცელებული ფორმაა. ფსორიაზული ბალთა წარმოადგენს შემოსაზღვრულ წრიულ ან ოვალურ ინფილტრირებულ ჰიპერემიულ გამონაყარს, რომელიც დაფარულია მოვერცხლისფრო-თეთრი ქერცლით. ლაქები და პაპულები ნელ-ნელა იზრდებიან, შეიძლება გაერთიანდეს, ხოლო ქერქი, რომელიც ქატოსებრია, შეიძლება ჩამოიფცქვნას. მოგვიანებით შუაში ჩნდება რგოლები, რომლებიც გაიშლება, ერთმანეთს შეუერთდება და რვაკუთხედის, გვირილის, ან სხვადასხვა ფორმებს იღებს. ფსორიაზული ბალთები ძირითადად ლოკალიზებულია იმ ადგილებში, სადაც კონტაქტი მეტია: თავის თმიან მიდამოში (ყურების უკან), კიდურების მომხრელ ზედაპირებზე (უპირატესად იდაყვებზე და მუხლებზე), დუნდულებზე, გავის არეში და სასქესო ორგანოებზე. შეიძლება დაზიანება აღინიშნებოდეს ფრჩხილებზე, ფრჩხილების დაზიანება აღენიშნება პაციენტთა 30-50% და კლინიკურად წააგავს სოკოვან ინფექციას. ფრჩხილის დაზიანება ხშირად წინ უსწრებს კანზე გამონაყარს და შეიძლება წარმოდგენილი იყოს ფრჩხილის ფირფიტაზე სათითესმაგვარი ჩანაჭდევებით, ონიქოლიზისით, ფრჩხილქვეშა ჰიპერკერატოზით, დაზოლვით, სისხლჩაქცევებით და სხვ. ასევე ფსორიაზული ბალთები გვხვდება წარბებზე, იღლიებში, ჭიპისა და ანოგენიტალურ მიდამოებში. დაავადებისთვის ქავილი დამახასიათებელი არ არის.

სურათი 1. ბალთოვანი ფსორიაზი

სხვა კლინიკური ფორმებიდან მნიშვნელოვანია ფსორიაზული ართრიტი, რომელიც პაციენტთა 5-10% აღენიშნება და შეიძლება გამოხატული იყოს ერთი ან რამდენიმე სახსრის ანთებით. ახასიათებს სახსრების დეფორმაცია.

სურათი 2. ფსორიაზული ართრიტი

ერითროდერმული ფსორიაზის (ექსფოლიაციური ფსორიაზული დერმატიტი) შემთხვევაში კანი დაფარულია ნაზი ქერცლებით და კანის მთელი საფარი არის წითელი. ხასიათდება გამონაყარის გენერალიზებით, რომელსაც ახასიათებს კანის ტკივილი. ზოგიერთ შემთხვევაში ტიპური ფსორიაზული გამონაყარი შეიძლება არც იყოს. მას შეიძლება თან ახლდეს ზოგადი სისუსტე და საჭირო იყოს სტაციონარული მკურნალობა. ფსორიაზის ამ ფორმას ხშირად იწვევს სისტემური სტეროიდების გამოყენება.

სურათი 3. ფსორიაზული ერითროდერმია

ნაოჭების ფსორიაზი ჩვეულებრივ უფროსი ასაკის ავადმყოფებში გვხვდება და შედარებით იშვიათია. იგი აზიანებს ინტერტრიგინოზულ არეებს, იღლიის, სარძევე ჯირკვლის და საზარდულის არეების ჩათვლით. გამონაყარი წარმოდგენილია ბრტყელი, წითელი ელფერის, მკვეთრად შემოსაზღვრული ლაქების სახით, რომელსაც გააჩნია მაცერირებული ზედაპირი, რის გამოც ხშირია მეორადი ინფიცირება.

სურათი 4. ნაოჭისებური ფსორიაზი

გენერალიზებული პუსტულარული ფსორიაზი ხშირია სტეროიდების გამოყენებისას, რომელსაც თან ახლავს სისუსტე. პუსტულები სგასკდომის შემდეგ ხდება კანის დესქვამაცია და ახალი პუსტულების წარმოქმნდა. პუსტულოზური ფსორიაზი (ხელისა და ფეხის გულების პუსტულოზი) აღწერილია ძირითადად თამბაქოს მწეველებში. გამონაყარი გამოვლინდება ხელის და ფეხის გულებზე ერითემატოზულ ფონზე განლაგებული სტერილური პუსტულებით სახით (ბარბერის ფსორიაზი), ან მთელს სხეულზე (ვონ ცუმბუშის ტიპი), რომელთა მთლიანობის დარღვევის შემდეგ წარმოიქმნება ქერცლი.

სურათი 5. გენერალიზებული პუსტულარული ფსორიაზი

წვეთისებური ფსორიაზი გვხვდება ახალგაზრდა ასაკში, ვითარდება მწვავედ, განსაკუთრებით ყელის მწვავე სტრეპტოკოკული ინფექციის შემდეგ. ასევე მისი გაჩენა ასოცირებულია სისტემური სტეროიდების გამოყენებასთან. იგი ლოკალიზებულია სხეულზე და კიდურებზე გაფანტულად მდებარე მცირე ზომის, 2-5მმ დიამეტრის პაპულების სახით.

სურათი 6. წვეთოვანი ფსორიაზი

1.1.3. ფსორიაზის დიაგნოსტიკა და მკურნალობა

ფსორიაზს ახასიათებს პროცესის სეზონურობა. გაუარესება ზამთრის პერიოდში, და მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ზაფხულობით (ზამთრის ტიპი) და იშვიათად – პირიქით (ზაფხულის ტიპი). ფსორიაზის ტიპიური კლინიკური სურათის დროს დიაგნოსტირება რთული არა რის. დამახასიათებელია ფსორიოზული ტრიადა: სტეარინული ლაქა, ტერმინალური აპკები, წერტილოვანი სისხლდენა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხელისა და ფეხისგულის ფსორიაზის დროს სოკოს მიკროსკოპული გამოკვლევები. ართრიტის დროს რენტგენოგრაფია და რათქმაუნდა პათომორფოლოგიური კვლევა. დიფერენციალური დიაგნოზი ტარდება პაპულოზურ სიფილისთან. ფსორიაზის კლინიკური ფორმის მიმდინარეობის სიმძიმის ხარისხის დადგენის, მკურნალობის ოპტიმალური გეგმის და მისი შედეგების შეფასებისათვის აუცილებელია გამოითვალოს ფსორიაზის გავრცელებისა და სიმძიმის ინდექსი PASI (Psoriasis Area and Severity Index). ინდექსი გამოიხატება მთლიანი რიცხვებით 0-72-მდე. PASI=(ერითემას+დესქვამაცია+ინფილტრაცია)×დაზიანებული ფართობი×წონითი კოეფიციენტი). ჩატარებული მკურნალობის შეფასება ხდება ინდექსი PASI-ის პროცენტული შემცირებით. ზოგადად მიღებულია PASI-50, PASI-75, PASI-90, რომელიც შეესაბამება ინდექსის 50%; 75%; 90% შემცირებას. ფსორიაზის მიმდინარეობის სიმძიმის დადგენისათვის მნიშვნელოვანია დაზიანებული ფართობის ინდექსის BSA (Body Surface Area) განსაზღვრა. BSA < 5% მსუბუქი; 5% >BSA<10% საშუალო; BSA >10% მძიმე.

მკურნალობის პროცესში მნიშვნელოვანია დიეტა. ცხოველური ცხიმების და ნახშირწყლების, ცხარე საკვების, ალკოჰოლის აკრძალვა. სტაციონარულ სტადიაში – ავტოჰემოთერაპია, ულტრაიისფერი დასხივება. ასევე, კურორტული მკურნალობა, მზის

აბაზანები. უკანასკნელ წლებში ფართოდ გამოიყენება ფოტოქიმიოთერაპია, ჰემოსორბცია, პლაზმაფერეზი.

1.2. ფსორიაზის იმუნოპათოგენეზი

1.2.1.T უჯრედების როლი ფსორიაზის იმუნოპათოგენეზი

ფსორიაზი ქრონიკული, მულტიფაქტორული ბუნების ერითემატოზულ-სქვამოზური დერმატოზია, რომელიც ხასიათდება ეპიდერმისის ბაზალური უჯრედების ჰიპერპროლიფერაციით, კერატინიზაციის პროცესის დარღვევით, დერმაში ანთებითი რექაციებით და ცვლილებებით სხვა და სხვა ორგანოებსა და სისტემებში. რაც განაპირობებს კანის და მისი დანამატების, ლორწოვანი გარსისა და სახსრების დაზიანებას. ფსორიაზს განიხილავენ როგორც სისტემურ დაავადებას(Скрипкин Ю.К., Мордовцева В.Н.1999). დაავადების დროს ხდება იმუნიტეტის უჯრედული რგოლის გააქტივება, ეფექტორული T ლიმფოციტების რაოდენობის და მათი კანში აქტივაციის მომატება. ვარაუდობენ, რომ ამ ტიპის ლიმფოციტები სიგნალს ღებულობენ დენდრიტული უჯრედებიდან და ყალიბდება აუტოიმუნური რეაქციისათვის დამახასიათებელი მანკიერი წრე, სადაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბაზალური და წვეტიანი უჯრედების აპოპტოზის გაძლიერებას. ეს იწვევს პროლიფერაციას, კანის ლიმფოიდურ-უჯრედოვანი ფილტრაციას და მეოთხე ტიპის დაყოვნებული ჰიპერმგრძნობელობის იმუნურ რეაქციას, რაც ართულებს ფსორიაზის მკურნალობას.

ფსორიაზის პათოგენეზში მნიშვნელოვანია T ლიმფოციტების და მისი სუბპოპულაციების დისრეგულაცია, რაც სხვა ქსოვილოვანი ფაქტორების და ეპიდერმიოციტებში პათოლოგიური ძვრების ინიცირებას იწვევს.

1986 წელს ვალდიმარ სონმა (Valdimarsson H., et al., 1986) შემოგვთავაზა ჰიპოთეზა, რომ ფსორიაზის დროს კერატინოციტების პროლიფერაციის ინიციაცია ხორციელდება T-უჯრედების ინფილტრაციისა და აქტივაციის თანხლებით. მოგვიანებით, იმუნოდეფიციტურ თაგვებზე კვლევებმა უჩვენა, რომ T-ლიმფოციტებს შესწევთ უნარი ნორმალურ კანში გამოიწვიონ ფსორიაზული პაპულების განვითარება (Wrone-Smith T., Nickoloff B.J., 1986). ასევე იმუნოსუპრესორების ფართო სპექტრის გამოყენებამ, კლინიკურ ცდებში დაადასტურა T-

ლიმფოციტების ფსორიაზის განვითარებაში მონაწილეობა (Bata-Csorgo Z., et al., 1995, Ellis C.N., et al., 1986,).

ფსორიაზის განვითარების იმუნოლოგიური მოდელი ასეთია. პერიფერიულ ლიმფურ სისტემაში CD4+ T უჯრედები ურთიერთქმედებენ ანტიგენპრეზენტირებელ უჯრედებთან (APC) აქტივირებული, კანში შეღწევის უნარის მქონე CD4+ T უჯრედების წარმოქმნით, რომლებიც შემდგომში გადაადგილდებიან დერმაში და ეპიდერმისში და მონაწილეობენ ლოკალურ ადაქტივირებული APC უჯრედების გენერაციაში. ეს უჯრედები შესაბამისად ინტრაეპიდერმალური CD8+ უჯრედების აგზნებას იწვევენ. აქტივირებული CD8+T უჯრედები ხასიათდებიან პროლიფერაციისა და ციტოკინების ზრდის ფაქტორების პროდუქციის უნარით, რომლებიც შემდგომში ფსორიაზული პაპულების წარმოქმნის ჯაჭვური რეაქციის ინიციაციას იწვევენ. მაშასადამე, ორი უჯრედის თანმიმდევრული ურთიერთქმედება იწყება CD4/APC და გრძელდება APC/CD8 პასუხით. ასეთი ურთიერთქმედება 3 სხვა და სხვა ტიპის იმუნოციტს (CD4+ T უჯრედებს, CD8+ T უჯრედებს და APC) შორის შემოსაზღვრულია დროში და სივრცეში და ფსორიაზის კონცეპტუალურ ბაზისს ქმნის.

1.2.2. Th17 უჯრედები და ციტოკინები

მიიჩნევა, რომ ფსორიაზის პათოგენეზში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ანთებითი მედიატორების არანორმალური წარმოება. თაგვებსა და ადამიანებში ჩატარებულ კვლევებში, ყურადღება მიიქცია T helper უჯრედების ახალმა ქვეპოპულაციამ, რომელიც ნაწილობრივ ხასიათდებოდა IL-17-ის წარმოებით და შესაბამისად, მათ Th17 უჯრედები ეწოდათ. ჩვენგან ვიხილავთ უკანასკნელ კლინიკურ კვლევებს, რომლებიც მიზნად ისახავს ფსორიაზის პათოგენეზში IL-23 / Th17 ღერძის დამოკიდებულებას.

გარდა ამისა, Th17 უჯრედების განვითარება და შენარჩუნება უკავშირდება IL-23-ს, რომელიც არის აუტოიმუნურ პროცესებში საკვანძო ინიცირების ციტოკინი (Bettelli et al., 2007; Kastelein et al., 2007). ფსორიაზიან ავადმყოფებში და აუტოიმუნური პროცესებში Th17 უჯრედების ფუნქციური როლის დადასტურებასთან ერთად იზრდება ინტერესი IL-23 / Th17 ღერძის (Blauvelt, 2008). ამიტომაც განვიხილავთ IL-23/Th17 ღერძის აგებულებას და ფუნქციებს,

ფსორიაზის პოტენციურ დისრეგულაციას და ნოელ-თერაპიის მიზანმიმართულ პერსპექტივას IL-23/Th17 ღერძზე გათვლით.

IL-23 აღმოაჩინეს 2000 წელს ოპპმანისა და თანამშრომლების მიერ(Oppmann et al., 2000). მათ აღმოაჩინეს ახალი ცილა IL-23p19, რომელსაც არ ქონდა ბიოლოგიური აქტივობა, მაგრამ, IL-12-ის IL-12p40 სუბერთეულთან ერთად ჩამოყალიბდა ახალი ჰეტეროდიმეტრიული ციტოკინი, რომელსაც მათ IL-23 დაარქვეს. IL-23 აღმოჩენილი იქნა თაგვისა და ადამიანის მონოციტებში, მაკროფაგებში, დენდრიტულ უჯრედებში (DCs), T უჯრედებში, B უჯრედებსა და ენდოთელური უჯრედებში. IL-23 უკავშირდება და სიგნალს იძლევა მისი ჰეტეროდიმეტრული რეცეპტორის კომპლექსის მეშვეობით IL-12Rβ1 და IL-23R სუბერთეულით(Parham et al., 2002). ვინაიდან IL-12Rβ1 ასევე IL-12 რეცეპტორის ნაწილიცაა, IL-23R უნიკალურია IL-23 რეცეპტორების კომპლექსით. IL-23R გამოხარტულია მეხსიერებას T უჯრედებში. NK T უჯრედები, მონოციტები და DC-ები უერთდებიან მას IL-23ით (Belladonna et al., 2002). იხ. სურათი 7.



სურათი 7 აღწერა. IL-23 სასიგნალო გზა. IL-23 არის ჰეტეროდიმერული ციტოკინი, რომელიც შედგება p40 და p19 სუბერთეულებისგან. იგი კრავს IL-23 რეცეპტორების კომპლექსს IL-12Rβ1 და IL-23R სუბერთეულებთან, რომლებიც დაკავშირებულია Jak ცილებთან, Tyk2 და Jak2-თან. IL-23 რეცეპტორების კომპლექსი მიიღება IL-23R უჯრედშიდა დომენში მდებარე თიროზის ნარჩენების ფოსფორილიზებით ჯაკ-2ის საშუალებით. ფოსფორილებული თიროზინის ნარჩენები ემსახურება როგორც დოკ საიტი STAT3

მოლეკულებისთვის, რომლების თავის მხრივ ასევე ფოსფორილირებულია. Phospho-STAT3 ცილების ჰომოდიმერიზაცია და გადატანა ბირთვში იწვევს ისეთი ციტოკინების ტრანსკრიპციას, როგორიცაა IL-17A, IL-17F, IL-22 და IFN-γ. ნაჩვენები იქნა რომ ხდება ამინომჟავის ჩანაცვლებები. არგინინი ნაცვდება გლუტამინით (R381Q) და ლეიცინი პროლინით (L310P), IL-23R სუბერთეულებში.

ორივე IL-12Rβ1 და IL-23R ჯაჭვს არ გააჩნიათ შიდაუჯრედული აქტივობა და სასიგნალო ფუნქციას ასრულებენ უჯრედშიდა ცილებთან დაკავშირებით. IL-12RB1 უკავშირდება ჯაკ-ის ოჯახის წევრს, Tyk2, ხოლო IL-23R- ის კი Jak2. IL-23 სტიმულაციის შედეგია ლიგანდით ინდუცირებული აუტოფოსფორილირება და რეცეპტორთან ასოცირებული ჯაკ-ის ტრანსფფოსფორმირება. ჯაკ-ის რთავს თიროზინის ნარჩენის ფოსფორილირებას, რომელიც შიდაუჯრედულ დომენშია განლაგებული. ეს ფოსფორილირებული თიროზინის ნარჩენები ემსახურება სიგნალის გატარებას და ტრანსკრიპციას (STAT) მოლეკულების აქტივატორისს, რომელიც თავის მხრივ, ასევე ფოსფორიალდება. განსაკუთრებით, IL-23 ააქტიურებს STAT-ის ამსპექტრს IL-12, STAT1, STAT3, STAT4 და STAT5 თუმცა, STAT3 არის მთავარი სასიგნალო მოლეკულა IL-23 სასიგნალო გზაზე, ხოლო STAT4 კი - IL-12 გზაზე. როცა გააქტიურდება STAT3 ჰომოდიმერი, ის გადადის ბირთვში, სადაც ის უკავვშირდება დნმ-ს სამიზნე გენის პრომოტორის უბანში.

IL-23ს უკვე უკავშირებდნენ აუტოიმუნური ანთების პათოგენეზს. ადრეული კვლევების მიხედვით, IL-23p19ს ექსპრესია ტრანსგენური თაგვების ქსოვილებში დაკავშირებული იყო მცირე მასასთან, უშვილობასა და ნაადრევი სიკვდილთან. აღსანიშნავია, რომ თაგვებს რომლებსაც ქონდათ დეფიციტი IL-23p19 და IL-12p40 სუბერთეულების, მაგრამ ქონდათ IL-12p35 სუბერთეული, იყვნენ რეზისტენტული აუტოიმუნური ცხოველური მოდელები.

მომდევნო კვლევებმა აჩვენა, რომ IL-23 ხელს უწყობს IL-17-ის, IL-17A-ს და სხვა პროანთებითი ციტოკინების წარმოებას (Aggarwal et al., 2003; Harrington et al., 2005;). $CD4^+$ უჯრედები მნიშვნელოვანი იმუნური რეაგირებისა და ანთებითი დაავადებების რეგულატორებია. სპეციფიკური ანტიგენით გააქტიურების შემდეგ, ანტიგენს სპეციფიკური $CD4^+$ T უჯრედები დიფერენცირებიან ეფექტორულ უჯრედებად და წარმოქმნიან მათ სპეციფიკურ ციტოკინებს. Th1-ის უჯრედებითვის ესენია IFN-γ და ლიმფოტოქსინს, რომლებიც ჩართულია ბაქტერიების და ვირუსების საწინააღმდეგო იმუნიტეტში. მათი მომწიფება

დამოკიდებულია IL-12-ის არსებობასთან და მთავარი მარეგულირებელი ტრანსკრიბციის ფაქტორის T-bet-ის აქტივაციასთან. Th2 უჯრედები წარმოადგენენ IL-4, IL-5, IL-13 და IL-25 (IL-17E), რომლებიც იწვევენ რეაქციებს პარაზიტებისა და ჰელმინთების წინააღმდეგ. IL-4 და ტრანსკრიფციის ფაქტორი GATA-3 წარმოადგენს Th2 დიფერენცირების ძირითად რეგულატორებს. საინტეერესოა, რომ იმუნური სისტემის აქტივაცია Th1 პასუხის დროს თავის და სხვა ანტიგენებზე შეუძლია გამოიწვიოს ავტოიმუნური პროცესები, ხოლო Th2-ის პასუხი იწვევს ასთმას და ალერგიას.

Th17 უჯრედები წარმოადგენენ ეფექტორულ CD4+ T უჯრედების პირველ ახალ ხაზს, რომელიც აღწერილია მოსმანის და მისი თანაშრომლების მიერ 1986 წელს. IL-17A თავდაპირველა დაღწერილია, როგორც გააქტიურებული მეხსიერების CD4+ T უჯრედების (Fossiez et al., 1996) პროდუქტი, მაგრამ დუარტემ და მისმა თანამშრომლებმა პირველად მიუთითა 2000 წელს, რომ IL-17A წარმოება უჯრედები არ შეიძლება კლასიფიცირებული იქნას კლასიკური Th1/Th2 პარადიგმის მიხედვით. თეორიას რომლის თანახმადაც IL-17-ის მაწარმოებელი T უჯრედები არიან განსხვავებული ხაზი, შეუძლია გაამარტივოს IL-23 ფუნქციის კვლევა (Aggarwal et al., 2003). IL-23 დეფიციტურ თაგვებში CIA(collagen-induced arthritis) და EAE (experimental autoimmune encephalomyelitis) რეაზისტენტობა დამოკიდებულია IL-17-ის მაწარმოებელი T უჯრედების არარსებობასთან. მიუხედავად ამისა აქ არიან IFN-γ-მაწარმოებელი Th1 უჯრედები. ეს უკანასკნელნი პასუხისმგებელი არიან აქ მიმდინარე ავტოიმუნურ პროცესებზე (Murphy et al., 2003;). გამოვლენილია, რომ IL-17-მაპროდუცირებელი უჯრედებში უნიკალური წინაანთებითი მედიატორების პატერნის ექსპრესია - IL-17A, IL-17F, IL-6, CCL20 და GM-CSF (Langrish et al., 2005). ბოლო წლების მანძილზე ციტოკინები და სასიგნალო გზები, რომლებიც ჩართული არიან Th17-ის დიფერენციაციაში არიან შესწავლის ობიექტები ადამიანშიც და თაგვებშიც. თავდაპირველი in vivo დაკვირვებებით თაგვებში , მხოლოდ IL-23 არაა საკმარისი რომ წარმართოს Th17 ის დიფერენციაცია გულუბრყვილო T უჯრედიდან თუ ისინი არ აქესპრესირებენ IL-23Rს; ამ შემთხვევაში ისინი წარმოქმნიან Th17 პოპულაციას. ფაქტობრივად, TGF-β1 (transforming growth factor), IL-6, IL-21 და შემდგომ IL-23-თან ერთად იწყებს გულუბრყვილო $CD4^+$ T უჯრედის დიფერენციაციას (Bettelli et al., 2006; Mangan et al., 2006;). ეს აღმოჩენა იყო გასაოცარი რადგანაც TGF-β1 ცნობილია მარეგულირებელი T უჯრედების პოტენციური სუპრესორული ფუნქციით (Chen et al., 2003). მათი განმარტების თანახმად, Th17 უჯრების განვითარება არა რის დაკავშირებული ტრანსკრიფციის ფაქტორების

ჩართვასთან Th1/Th2 დიფერენციაციისას. საპირისპიროდ, ორივე in vitro და in vivo პირობებში Th17 დიფერენციაციისთვის საჭიროა, რომ გაიზარდოს უნიკალური ხაზ-სპეციფიური ტრანსკრისციის ფაქტორის **ROR γt** (რეტინოიდთან დაკავშირებული კენტი რეცეპტორი γt), კენტი ნუკლეარული რეცეპტორის წარმოების ზრდა (Ivanov et al., 2006; Zhou et al., 2007). უფრო მეტიც **STAT3**-ის აქტივაცია (Mathur et al., 2007; Yang et al., 2007), რომელიც შედის **RORα** ბირთვულ კენტ რეცეპტორში (Yang et al., 2008b) და ასევე **AHR** (aryl hydrocarbon receptor) არის მნიშვნელოვანი ამ პროცესში.



სურათი 8. T helper(Th) და T რეგულატორ(Treg) უჯრედების დიფერენციაცი ა გულუბრყვილო CD4+ უჯრედიდან. Th1 უჯრედის დიფერენციაცია მიმდინარეობს IL-12-ის არსებობისას, რომელიც ააქტიურებს მთავარ ტრანსკრპციის რეგულატორ, T-bet, ფაქტორს STAT1-ით. სრულად მომწიფებული Th1 უჯრედი ექსპრესირებს ქემოკინების რეცეპრტორებს CXCR6, CXCR3 და CCR5 და აწარმოებს IFN-γ და ლიმფოტოქსინს STAT4-ის მეშვეობით. ესენი არიან დაკავშირებული უჯრედშორის იმუნიტეტთან, ბაქტერიების და ვირუსების წინააღმდეგ. Th2 უჯრედები დამოკიდებულია IL-4, STAT6, და GATA-3-ის წარმოებაზე და ათავისუფლებს IL-4, IL-5, IL-13, და IL-25-ს. Th2 აექსპრესირებს ქემოკინების რეცეპტორს, CCR3, CCR4, და CCR8 და არის მნიშვნელოვანი პარაზიტების საწინააღმდეგოდ იმუნიტეტის ფორმირებაში. Th17 უჯრედები საჭიროებს TGF-β1 და პრეანთებით ციტოკინებს (IL-1β, IL-6, და/ან IL-21) რომ დიფერენცირდეს გულუბრყვილო CD4+უჯრედიდან. IL-23 ის მზარდ გამოყოფას უჯრედი პასუხობს IL-23 ის რეცეპტორების გაზრდით. ადამიანის Th17 უჯრდები აწარმოებენ IL-17A, IL-

17F, IL-22, და IL-26 და ეს თამაშობს მნიშვნელოვან როლს მასპინძელი-ექსტრაუჯრედული პათოგენის წინააღმდეგ და ავტოიმუნურ პროცესში. მათი ზედაპირული მარკერები შეიცავს ქემოკინების რეცეპტორს, CCR4, CCR6, და შესაძლოა CD161-საც. გარდა ეფექტორული T უჯრედისა, გულუბრყვილო CD4+ T უჯრედი შეიძლება გარდაიქმნას T რეგულატორ (Treg) უჯრედებად და მას ექნება IL-2 და TGF-β1 ან IL-10. T რეგულატორ (Treg) უჯრედებზე წარმოდგენილია იმუნოსუპრესიული ციტოკინები, TGF-β1, IL-10, და IL-35 და აექსპრეირებს ზედაპირულ მარკერებს GITR, CD25, და CLTA-4. განსხავებით თიმუსში წარმოშობილი T რეგულატორული უჯრედებისგან, რომლებიც ასევე აექსპრესირებს Foxp3.

ადრეული კვლევებით ნაჩვენებია ადამიანის Th17 უჯრედები იწარმოება გულუბრყვილო CD4+ უჯრედებისგან toll-like რეცეპტორისგან გააქტიურებული მონოციტების არსებობისას. (Evans et al., 2007) და ასევე ისეთი წინა ანთებითი ციტოკინებისგან როგორიცაა IL-1βდა IL-6 მარტო, ან IL-23 თან კომბინაციაში. კერძოდ IL-1β საკმარისია, რომ დაიწყოს RORC variant 2-ის ექსპრესია, რომლის ჰომოლოგიც ადამიანში არის RORγt და IL-17A და IFN-γს პროდუქტი, რომლებიც IL-6 და IL-1β ერთად ადამიანში იწვევენ IL-17A-ს წარმოქმნას. მაგრამ მათ შორის არაა IFN-γ. ანალიზმა აჩვენა, რომ IL-17A-ს მაწარმოებელი უჯრედები აექსპრესირებენ ქემოკინების რეცეპტორებს, CCR6 და CCR4, მაშინ, როდესაც IFN-γ/IL-17-ის მაწარმოებელი უჯრედები აექსპრეირებენ CCR6 და CXCR3-ის გენებს (Acosta-Rodriguez et al., 2007b). ერთ-ერთი კვლევის თანახმად, CD161 უჯრედები აექსპრესირებენ IL-17A მაწარმოებელ გენებს და არიან ახალი ზედაპირული მარკერები Th17-ისთვის (Cosmi et al., 2008). ყველაზე რთული ასპექტი ადამიანის Th17-ის ბიოლოგიის დადგენაში არის TGFβ-1როლი. მიუხედავად ამისა აღიარებულია ადამიანის Th17-ის დიფერენციაციისთვის TGFβ-1 აუცილებელობა. (O'Garra et al., 2008). თავდაპირველად ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ TGFβ-1 არ ემსახურება Th17-ის,17-ად დიფერენცირებას, მაგრამ თრგუნავს IL-17A წარმოებას დოზა-დამოკიდებული ინჰიბირებით. (Chen et al., 2007; Wilson et al., 2007). ბოლო კვლევებით ასევე დადგინდა, რომ ადამიანებში ასევე საჭიროა TGFβ-1-ის დაბალი დონეან IL-2-ის (Yang et al., 2008a), IL-1βდა IL-23 (Manel et al., 2008), IL-1β, IL-23, და IL-6 (Volpe et al., 2008) თანხლება, რომ CD4+ T გარდაიქმნას Th17 უჯრედად. მიუხედავად, იმისა, რომ მათი დასკვნები განსხვავდება პრეანთებით მედიატოერების ერთობლივ როლზე, მათ ერთად უჩვენეს ეს და იგივე არის თაგვებშიც (Zhou et al., 2008), რომ TGF-β1-ის დაბალი კონცენტრაცია სხვა თანდართულ ციტოკინებთან ერთად აუცილებელია ადამიანის Th17-ის დიფერენციაციისთვის. ფაქტია, რომ TGF-β1-ის დაბალი დონე და ისეთი წინა

